ПРОЛЕТАРИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 66 (18608) კვირა, 20 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

პროფკავშირთა გავლენის არე

უპასუხო საქართველოს პროფკავშირთა XVII ყრილობაზე მისმა ერთ-ერთმა დელეგატმა თქვა:

— ნავიდა ის დრო, როცა პროფკავშირული ორგანიზაციების მოღვაწეობას მხოლოდ სანეკრო ანარიცხების აკრეფით, სანატორიუმებისა თუ დასასვენებელი სახლების საგზურების განაწილებით ან ექსკურსიების მოწყობით აფასებდნენ. ჩვენ, პროფკავშირული მუშაკები, ახლა ყველაფრისთვის ვაგებთ პასუხს — ადამიანთა შრომის, ყოფის, ცხოვრების ყველა პრობლემის გადაწყვეტისადმი კონტროლისთვისაც, წარმოების დაგეგმვისა და მართვისთვისაც, კადრების შერჩევა-განაწილებისა თუ საწარმოთა და ორგანიზაციათა სახსრების ეფექტიანად გამოყენებისთვისაც...

მაინც, სად იწყება და სად მთავრდება პროფკავშირული გავლენის არე? ამაზე კონკრეტული პასუხის გაცემა შეუძლებელია. რამდენადაც დიდია, უსაზღვროა ჩვენი ქვეყნის ზრდის, ნინსვლის გეგმები და მასშტაბები, იმდენად ფართოა საბჭოთა პროფკავშირების მიერ გადასაწყვეტი ამოცანები.

ამას შესანიშნავად ადასტურებს საქართველოს პროფკავშირთა ბოლო წლების გამოცდილება, მათი დღევანდელი შთამბეჭდავი საქმეები.

საკავშირო პროფსაბჭოს ორგანოს, გაზეთ „ტრუდის“ 16 მარტის მონინავე სტატიაში „ვიყოთ წარმოების ბატონ-პატრონები“ — ხაზგასმით არის აღნიშნული ის სასარგებლო სიახლენი, ის საუკეთესო გამოცდილება, რომელიც საქართველოს პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა წარმოების მართვაში მშრომელთა ფართო მონაწილეობის საქმეში შეიძინეს.

„როგორც ყველგან, სოციალისტური შეჯიბრება აქაც ეკონომიკის განვითარებაზე ზეგავლენის უმნიშვნელოვანეს საშუალებად ითვლება, — წერს „ტრუდი“, — ცოტა ხნის წინათ ყველა სამრეწველო საწარმოში შემოღებულ იქნა შეჯიბრების პასპორტები, რომლებშიც საგეგმო მაჩვენებლებისა და ვალდებულებათა გარდა, მოცემულია ინფორმაცია მონინავე გამოცდილების, ინიციატივების და წამოწყებათა გამოყენების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების შედეგების შესახებ და ასე შემდეგ. პასპორტები სრულ წარმოდგენას იძლევა მშრომელთა შრომითი და საზოგადოებრივი აქტიურობის შესახებ.

რესპუბლიკაში 200 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობს 2.765 საამქრო და საქარხნო მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების მუშაობაში. საქართველოს მინისტრთა საბჭომ და პროფსაბჭომ დაანესეს ყველასათვის ერთიანი დღე მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების ჩასატარებლად, რესპუბლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელებს დაავალეს ისე დაგეგმონ დრო, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ სხდომებში.

მაგრამ, გადაწყვეტილების მიღება — ეს, რა თქმა უნდა, ნახევარი საქმეა. საჭიროა კიდევ იგი განახორციელო. მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების რეკომენდაციების და კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლისათვის პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოსთან, კომიტეტებთან, მსხვილ პროფორგანიზაციებთან საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილია სპეციალური ინსპექციები. უკანასკნელ ორ წელინადში მათ 600-ზე მეტი საწარმო შეამოწმეს და საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფისათვის თანამდებობიდან მოიხსნა 100-მდე დირექტორი, მთავარი ინჟინერი, საამქროს უფროსი. ხალხი უფრო პასუხისმგებლობით მიუდგა მშრომელთა სურვილებს, რჩევას, მოთხოვნებს — გასულ წელს შეუსრულებელი დარჩა კოლექტიურ ხელშეკრულებათა სამ პროცენტზე ნაკლები.

კოლექტივის საქმეთა მართვაში მშრომელთა ყველაზე უშუალო მონაწილეობის ფორმად სამართლიანად ითვლება მუშათა კრებები. უკანასკნელ წლებში საქართველოს ზოგიერთ საწარმოში გამოჩნდა ამა თუ იმ ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობაზე კანდიდატურის კრებებზე განხილვის პრაქტიკა. ბრიგადის, უბნის ან საამქროს კოლექტივი აფასებს პრეტენდენტის დამსახურებას, უთითებს მას ნაკლოვანებებზე, გზას უჩვენებს, ასეთი განხილვის ორგანიზატორებად პროფკავშირული კომიტეტები გამოდიან“.

ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირების აქტიური, ინიციატივიანი მუშაობის კონკრეტული მაგალითები დაუსრულებელად შეიძლება მოვიყვანოთ. აი, თუნდაც, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის სისტემაში დიდმნიშვნელოვანი როლებია საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-მეთოდიკური საბჭო, სოციალისტური შეჯიბრების რესპუბლიკური კაბინეტი. სწორედ ამ რგოლების საქმიანობამ სახალხო მეურნეობის გაძლოლის ახალ პირობებში დიდად შეუწყო ხელი შეჯიბრების ორგანიზაციის მეცნიერულ საფუძველზე მოწყობას, უშუალოდ შრომითს კოლექტივებთან კავშირის განმტკიცებასა და გაღრმავებას.

ყოველწლიურად მრავლდება იმ საწარმოთა, მეურნეობათა და ორგანიზაციათა მისამართები, სადაც ახალახალი სასარგებლო თაოსნობანი იბადება და ჩნდება, სადაც პროფკავშირული ორგანიზაციები კარგ მებაღესავით უვლიან ამ წამოწყებებს, ახალისებენ მათს ავტორებს, იღვწიან სიახლეთა ფართოდ გავრცელებისათვის.

როგორც ცნობილია, კომუნისტური პარტიის მიერ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის კურსის განხორციელებაში მეტად დიდია წარმოების მართვის დემოკრატიული ფორმების სრულყოფის როლი და მნიშვნელობა. რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები სულ უფრო შემოქმედებითად, აქტიურად იყენებენ კოლექტიურ ხელშეკრულებას, მუდმივმოქმედ საწარმოო თათბირებს, მუშათა კრებებსა და სხვა ნაცად ფორმებს. საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ერთ წელინადში მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების ინიციატივით ათასობით კაცს გაუუმჯობესდა შრომის პირობები. განთავისუფლდნენ მძიმე ხელის ოპერაციებისაგან..

რა თქმა უნდა, წარმოების საკითხებით პროფკავშირულ ორგანიზაციათა სულ უფრო მზარდმა დაინტერესებამ, რიტმულობისათვის, სახელშეკრულებო ვალდებულებათა, ტექნოლოგიური ციკლის დაცვისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სხვა რთული პრობლემების გადაწყვეტისათვის მათმა უშუალო ორგანიზატორულმა მუშაობამ ოდნავადაც კი არ შეანელა მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო საკითხებისადმი ყურადღება. პირიქით, დიდი და ყოველდღიური მუშაობის ეს ორი მხარე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთიმეორეს.

ამჟამად საქართველოში 8 ათასამდე მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივია. პროფკავშირები აქტიურად იყენებენ საამქროების, ბრიგადების, ფერმებისა და სხვადასხვა დანესებულებების წითელ კუთხეებს, სადაც ორგანიზებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები, კინოლექტორიუმები, შრომის ვეტერანების, სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა პატივგება. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კულტურულ-მასობრივ მუშაობას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მუშაობაში მაღალი ორგანიზებულობისათვის, სანიმუშო წესრიგისა და დისციპლინისათვის ბრძოლა ამ ბოლო ათი წლის მანძილზე მუდამ იყო რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ზრუნვა-ყურადღების საგანი. მაგრამ ამ მხრივ მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ. როგორც ამ პლენუმზე, ისე მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში მოცემული დებულებები და დასკვნები თითოეული პროფკავშირული ორგანოს მოქმედებისა და მოღვაწეობის კონკრეტული პროგრამა გახდა.

ბევრგან ნაყოფიერად მოქმედებენ დისციპლინის განმტკიცების შტაბები, იქმნება „მუშის ღირსების“ საბჭოები, კარგი ეფექტი მოსდევს დისციპლინის დღეებს, რომლებიც ბევრ შრომითს კოლექტივში ახლა რეგულარულად ეწყობა.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციები სულ უფრო გონივრულად იყენებენ დისციპლინის ფაქტორს. აი ერთი მაგალითი: თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების სისტემაში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულად არ ცნეს, არ აღიარეს მეხუთე მექანიკური საამქროს კოლექტივი, თუმცა მას თებერვალში საუკეთესო მაჩვენებლები ჰქონდა. რატომ? იმიტომ, რომ ამ საამქროს ზოგიერთმა მუშაკმა წინა თვეში სამუშაოზე დაგვიანა, იყო გაცდენებიც. სოცშეჯიბრის შედეგების შეჯამების ასეთი პირობა გაერთიანების პროფკავშირულ კომიტეტში შეიტანა შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით შექმნილმა შტაბმა. „მუშის ღირსების კანონი“ აქ მიიღეს საამქროთა კოლექტივებმა იმ კომპლექსური გეგმის შესაბამისად, რომელიც აწესრიგებს პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის აღმზრდელობითს ღონისძიებებს.

ამას წინათ მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ჭიათურის საქალაქო კომიტეტთან შეიქმნა „მუშის ღირსების საბჭო“, რომელსაც მონინავე გვირაბგამყვანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი პ. ჩიტაძე ხელმძღვანელობს, საბჭო უშვებს სპეციალურ ბიულეტენს „მუშის სინდისი“, რომელიც მოუთხრობს წარმოების ნარჩენებულ ადამიანთა შესახებ, მკაცრად აკრიტიკებს უდისციპლინოებსა და „ფრენიებს“.

შემოქმედებითი მუშაობის სხვა ფაქტების დასახელებაც შეიძლება. დასკვნა ერთია: უკანასკნელ წლებში საქართველოს პროფკავშირულ ორგანიზაციათა ესოდენ დიდი ავტორიტეტის, მათი როლის ზრდის მთავარი წყაროა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური პრაქტიკული ხელმძღვანელობა და დახმარება. ეს კი მრავალი ფორმით ვლინდება.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა საფეიერო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ლაკიას ინფორმაცია, თუ რა საქმიანობას ეწევა იგი საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში დადებითი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის შრომისა და საწარმოო დისციპლინის განსამტკიცებლად. ამ ერთი რესპუბლიკური კომიტეტის გამოცდილება თვალნათლივ მოწმობს, რომ პროფკავშირი მართლაც წარმოების ბატონ-პატრონად გვევლინება, რომ დარგის განვითარებისათვის ყოველმხრივ შესტკივა გული. სწორედ ამას ისახავს მიზნად დათვალიერება-კონკურსები დისციპლინის განმტკიცების, სამუშაო დროის დანაკარგების შემცირების საქმეში საუკეთესო პროფჯგუფის გამოსავლინებლად, დარგის რესპუბლიკური შტაბი და მისი სამუშაო ჯგუფები, მონინავეთა გამოცდილების სკოლები, შრომის ვეტერანებთან, მეცნიერებთან, სხვა ნარჩენებულ ადამიანებთან შეხვედრები, ახალგაზრდობასთან მუშაობის საბჭოები, საამქროებში მოწყობილი სტენდები „მე და ჩემი დამრიგებელი“ და სხვა სიახლეები.

მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გასული წლის დეკემბერში მოისმინა საავტომობილო, სატრაქტორო მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის ანგარიში, სხვა დარგობრივი კომიტეტებიც მეტი პასუხისმგებლობით, უფრო საქმიანად უდგებიან საწარმოთა რიტმული მუშაობის საკითხებს.

ბევრმა მათგანმა გამონახა კავშირის ფორმა იმ საწარმოთა პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, რომლებიც ნედლეულისა და მასალების მიმწოდებელნი არიან. კარგი ურთიერთობა იქმნება აგრეთვე სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების დარგობრივ პროფკავშირულ კომიტეტებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან.

მაგალითად, გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება ლითონის უქონლობის გამო, ვერ ასრულებდა საკავშირო სამინისტროს მიერ დასახულ ღონისძიებებს. საქმეში საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ჩაერია, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე აღძრა ეს საკითხი, რომელიც შემდეგ დადებითად გადაწყდა.

მაგრამ ფაქტები იმასაც მეტყველებს, რომ ბევრი კომიტეტის, პირველადი პროფორგანიზაციის მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია არის. რა დასამალია, რომ მათ ზოგჯერ აკლიათ ინიციატივა თავიანთი ფართო უფლებების გამოყენებაში. ისინი ყოველთვის ვერ იჩენენ სიმტკიცეს კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულების, შრომის დაცვის საკითხებში, სუსტად რეაგირებენ შრომის კანონმდებლობის დარღვევის, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების ფაქტებზე. სწორედ ამ საკითხების მოგვარებას, ამ პრობლემებზე მეტი ფიქრისა და ზრუნვის საჭიროობას გაუსვა ხაზი გასულ წელს გამართულ რესპუბლიკის პროფკავშირთა ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

ჩვენი დრო დიდი აღმშენებლობის, ახალ მიღწევათა გამრავლების დროა. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის პროფკავშირები კიდევ უფრო სრულყოფენ, გაამდიდრებენ მუშაობის სტილსა და მეთოდებს, შემდგომ განავითარებენ მასების შემოქმედებასა და ინიციატივას.



ДРОУЛАД ДА ХАРИСХИАНАД ВАЩАРМООТ САГАЗАФХУЛО САМУШАОЕБИ!

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიამ განიხილა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობა ციტრუსის ბალეებში და ჩაის პლანტაციებში

უკვე დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქობულეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, წულუკიძის და თერჯოლის რაიონების, ქალაქ ტყიბულის ზონის მეურნეობებში პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გეგმები შესრულდება. აქ შემნილია მრსავლის მტკიცე საფუძველი, ზამთრისა და საგაზაფხულო სამუშაოების მთელი კომპლექსის 70-80 პროცენტი შესრულებულია.

მთლიანად რესპუბლიკაში მარტის დამდეგისათვის ჩაის ბუჩქების მწკრივთშორისები დამუშავებულია 38 ათას ჰექტარზე მეტ ფართობზე, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებულია 60 ათასი, მინერალური სასუქები 49 ათასი ჰექტარიდან შეტანილია 35 ათას ჰექტარზე, ღრმა და საშუალო სხვლა განხორციელებულია 1.176 ჰექტარზე, გეგმით კი გათვალისწინებულია 1.330 ჰექტარი.

ანალოგიური ვითარება შეიქმნა ციტრუსის ბაღებში. გრაფიკის ჩამორჩენით შეაქვთ ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქები. მაგალითად, მინერალური სასუქები შეტანილია 3.797 ჰექტარზე 9.718 ჰექტარის ნაცვლად, ორგანული სასუქები—2.810 ჰექტარზე, მაშინ, როცა გეგმით გათვალისწინებულია 11.712 ჰექტარზე მათი შეტანა. ასევე ნელა მიმდინარეობს პლანტაციების ბარვა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სამუშაოთა ტემპის ჩამორჩენა ხელვაჩაურის რაიონის აბალმენის, ჩაისუბნის, მახინჯაურის კოლმეურნეობების (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — ა. ბოლქვაძე), ჩოხატაურის რაიონის კოხნარის, დაბლაგის კოლმეურნეობებისა და ქვემონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — ლ. ლომთათიძე), გალის რაიონის მუხურის, ოქუმის კოლმეურნეობების (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — რ. შონია), წალენჯიხის რაიონის ნაკიფუს, საჩინოს, ლიის, ობუჯის კოლმეურნეობების (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — ხ. მიქავა), გეგეჭკორის რაიონის ლეხაინდრაგოს, ნაჯახავოს კოლმეურნეობებისა და დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე — რ. უბილავა) ჩაისა და ციტრუსების პლანტაციებში.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა აგრეთვე ქალაქ წყალტუბოს ზონის, მახარაძის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებში.

კოლეგიამ არასაკმარისად ცნო ხელვაჩაურის, ჩოხატაურის, გალის, მახარაძისა და გულრიფშის რაიონების, ქალაქ წყალტუბოს ზონის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეთა მუშაობა.

კოლეგიაზე ხაზგასმით აღინიშნა: ბაღებსა და ჩაის პლანტაციებში სამუშაოთა ტემპის შენელება იმის შედეგია, რომ რაიონებში, მეურნეობებში დღემდე ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მაღალ დონეზე ზამთრისა და საგაზაფხულო სამუშაოების კომპლექსის ჩატარებას, არღვევენ მათს აგროვადებს, დაბალია მომთხოვნელობა და დისციპლინა. სუსტად ინერგება პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ცუდად აწარმოებენ სამუშაოებს მობილური მანქანებითა და ხელის აპარატებით ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფისათვის პლანტაციების გასაფართოებლად.

კოლეგიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკრიზისო დავაჩქაროთ სამუშაოთა ტემპი რესპუბლიკის სუბტროპიკულ მეურნეობებში, რაც შეიძლება ჩქარა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები, რათა უზრუნველყოთ წანამძღვრები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდისათვის.

კოლეგიამ შეიმუშავა საგაზაფხულო სამუშაოების ხარისხისადმი, მათი ჩატარების ვადებისადმი, კულტურების მოვლა-მოყვანის აგროწესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერების ღონისძიებანი. (საქინფორმი).

ХЕЛОВ ШРОМАС ШЕЦВЛОВ МАНЕКАНА

მეევნახეობაში კიდევ ერთ შრომატევად ოპერაციას — ნიადაგში ჰერბიციდების შეტანის სამუშაოებს შეასრულებენ მექანიზმები. ტრაქტორის სასხურებელზე დამაგრებული ორიგინალური კონსტრუქციის ხელსაწყო ერთი საათის განმავლობაში დაამუშავებს ხუთ ჰექტარ ვენახს, იმაზე ხუთჯერ მეტ ფართობს, რასაც წინათ ხელით ასრულებდნენ. საგარეჯოს ავტომშემკეთებელ ქარხანაში დამზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემნილი ორმოცდაათი ასეთი ხელსაწყო. ვენახების ჰერბიციდებით დამუშავების შედეგად, როგორც ეს გვიჩვენა შარმან საგარეჯოს რაიონის მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში ჩატარებულმა გამოცდამ, საჭირო აღარ არის ვაზის მწკრივთშორისების კულტივაცია.

რა კეთდება სოფლის მეურნეობის დარგების მექანიზაციის დონის ამაღლებისათვის? საქინფორმის კორესპონდენტის ამ კითხვას უპასუხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მეცნიერებისა და ახალი ტექნიკის დანერგვის სამმართველოს უფროსმა გ. გეთიამ:

— შარშან, მაგალითად, ხაშურის რაიონის შაქრის ჭარხლის პლანტაციებში გამოცადეთ „რკს-6“ ჭარხლის ასაღები საბჭოური მარკის მანქანა, რომელიც 300 კაცის საქმეს აკეთებს. წლეულს სამ ასეთ კომბაინს კიდევ შემოვიტანთ ზნაურის, ქარელისა და გორის რაიონების მეურნეობებისათვის.

ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ლობიოს წარმოების ინდუსტრიულ რელსებზე გადაყვანა. მცხეთის რაიონში გამოვცადეთ ლობიოს ასაღები მანქანა „ფა-4 მ“, გამოცდის შედეგები ეფექტიანია. ამ კულტურის აღებაზე მანქანა 60 კაცს ცვლის.

საკვებწარმოებაში უნდა ავითვისოთ თივისა და ჩალის დამზადების ახალი პროგრესული რულონური ტექნოლოგია. მომდინარე წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში გავა 40 რულონური საწნეხ-ასაკრები მანქანა „პრპ-1,6“. ეს გახლავთ ყველა მოდიფიკაციის „ბელორუსის“ ტრაქტორზე მისაბმელი აგრეგატი.

წელს განზრახულია გვაქვს მეცხოველეობის დარგში დავნერგოთ ცხვრის წველის მექანიზაცია. მობილური აპარატი (ასეთი კი მომდინარე სეზონში 24 ცალი უნდა მივიღოთ) ერთდროულად 8-12 ცხვარს მოწველის. ეს მეცხვარეებს შრომას გაუადვილებს.

(საქინფორმი).

ᲣᲘᲜᲢᲐ, წვიმა, თოვლი, იშვიათად მშრალი ამინდები რიგრიგობით ენაცვლებიან ერთმანეთს და თითქოს ხაზს უსვამენ გაზაფხულის პირველი თვის ჭირვეულობას.

აი ასეთ რთულ კლიმატურ პირობებში მიმდინარეობს ქარელის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

საგულისხმოა, რომ წლეულსაც იმ საზოგადოებრივ მეურნეობებში დაიწყეს დროული სამზადისი, სადაც შარშანაც ხილის ჩინებული მოსავალი მიიღეს. ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი რ. საყვარელიძე) წელსაც ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის იღვწიან; სამმასო საფუძველიც აქვთ: ხეხილის ბაღებში 1437 ჰექტარიდან მინერალური სასუქები შეტანილია და მოხსნილია 1300 ჰექტარი, მთავრდება ბაღების სხვლაც.

როგორღაა საქმე სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებში? ქარელის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე დ. ნადირაძე) აშკარაა, რომ არ ჩქარობენ. 515 ჰექტარიდან მწკრივთთშორის მიწა ჯერჯერობით 170 ჰექტარზეა მოხსნილი. ასეთი მდგომარეობა ეგება უკანასკნელ დღეებში ამინდის გაუარესების ბრალია? არა. აქ, საერთოდ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროვადებში შესრულებისადმი ერთგვარი დაუდევრობა შეიმჩნევა. ჯერ კიდევ თებერვლის დამდეგს 130 ჰექტარ ბაღში იყო მიწა მწკრივთშორის მოხნული, თუმცა მას შემდეგ ოვალზე მეტი გავიდა, დამუშავებული ბაღების ფართობებს ბევრი ვერაფერი მიმატებია.

ხვედურეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ტ. აბაშიძეა) ბაღებში მიწის ხვნას თებერვლის მეორე ნახევრიდან შეუდგნენ. დღეისათვის ეს სამუშაოები 80 ჰექტარზეა შესრულებული. სწორედ ამაზე ლაყვიან, ძარეში არის, საქმე კი წინ არ მიდისო. ხვედურეთელებმა, ისევე როგორც რაიონის სხვა საზოგადოებრივ მეურნეობათა მშრომელებმა, ზელიდან გაუშვეს ოპტიმალური დრო საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად ჩატარებისათვის.

სიტყვამ მოიტანა და ზოგან სამუშაოთა ხარისხი ყველაზე გულმოწყალე კრიტიკასაც ვერ უძლებს. მაგალითად, რუისის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მ. გურასაშვილი) მესამე, მეექვსე და მეცხრე ბრიგადებში (ბრიგადირები ბ. გიგაშვილი, ზ. ნასყიდაშვილი, კ. ბერუაშვილი) მთელი რიგი სამუშაოები უხარისხოდ სრულდება, ქარელის კოლმეურნეობის მეცხრე ბრიგადაში (ბრიგადირი ალ. კომანაშვილი) ხეხილის ძირების შემობარვა ნებაზეა მიშვებული. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობაა ბებნისის სანერგე მეურნეობაში. აქ მხოლოდ ახლა იწყებენ ძირების შემობარვას, წინ ძნელი და ერთობა დაგვიანებული სამუშაოები — ბარე 350 ჰექტარ ხილის ბაღშია შესასრულებელი.

საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მარტოოდენ საზოგადოებრივ მეურნეობათა საზრუნავი როდია, ეს, უპირველეს ყოვლისა, დიდი სახელმწიფოებრივი კამპანიაა, რომლის ოპტიმალურ ვადებში შესრულებისათვის გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ „სოფლტექნიკის“, „სოფლქიმის“ რაიონულ გაერთიანებებს, წყალთა სასისტემო სამმართველოს.

როცა ბალების ხვნაზე მიმაგრებული 6 ტრაქტორის ნაცვლად ორი-სამი მუშაობს (როგორც ეს, მაგალითად, ქარელის კოლმეურნეობაში ვნახეთ), ანდა, როცა წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველო ჰაიჰარად ასრულებს ტინდაგროვებითი რწყვის სამუშაოებს (1 მარტის მდგომარეობით საგებმო 6.290 ჰექტარიდან მხოლოდ 804 ჰექტარი იყო მორწყული), სწორედ ასეთ ფაქტებზე ამბობენ ხოლმე, რომ საშემსრულებლო დისციპლინას პატივს არ სცემენ.

შედარებით უკეთ გამოიყურება „სოფლქიმიის“ რაიონული გაერთიანების საქმიანობა. დროულად შეიტანეს აქ ფართობებში ორგანული და მინერალური სასუქები, მაგრამ შეტანაც არის და შეტანაც. ორგანული სასუქები დღემდე ბაღებში თვითმცლელი მანქანებით გაგაქვთ და ადგილზე მათი გაფანტვა ექსკავატორებით (!) ხდება (მაგალითად, ფცის საბჭოთა მეურნეობაში).

„სოფლქიმიისაგან“ საზოგადოებრივი მეურნეობები მუშაობის დღევანდელ ეტაპზე კონკრეტულ დახმარებასა და თანადგომას ელიან. თავის მხრივ ამ სამსახურსაც სჭირდება დახმარება და ყურადღება. ზემდგომი ორგანოები მას ცოტაოდენი ტექნიკით რომ მიშველებოდნენ, აქ შეიქმნებოდა ერთი დამოუკიდებელი მექანიზებული რაზმი, რომელიც მთლიანად იქნებოდა დაკავებული ქიმიზაციისა და მცენარეთა დაცვის სამუშაოებით.

ამით მხოლოდ საერთო საქმე მოიგებს.

ᲗᲔᲜᲘᲖ ᲧᲘᲚᲐᲣᲠᲘ,
საქართველოს სსრ სახელმწიფო სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მეხილეობის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი.
Ბ. ᲗᲐᲣᲨᲐᲕᲘᲫᲔ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ Დ. Თ. ᲣᲡᲢᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ეწვევა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკას ამა წლის მარტის მესამე დეკადაში.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით 18 მარტს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა ერაყის ეროვნული საბჭოს დელეგაცია მისი თავმჯდომარის ნ. ჰადდის მეთაურობით. (საკდესი).

ᲞᲝᲒᲝᲠᲜᲔᲒᲐᲜᲘ Კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ Ფ. ᲔᲜ�გᲔᲚᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲓᲘᲓᲐ მეორე ნაწილი წიგნისა „მოგონებანი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შესახებ“ — მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა შესახებ მოგონებების ყველაზე სრული კრებული. წიგნში გამოქვეყნებულია ნარკვევები და სხვა მასალები, რომლებიც ეკუთვნით სხვადასხვა პირებს — მარქსისა და ენგელსის ახლობელნათესავებს, მეგობრებსა და თანამებრძოლებს, საერთაშორისო მუშათა რევოლუციური მოძრაობის მოღვაწეებს, მეცნიერებსა და პუბლიცისტებს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში მეხვედრიან პროლეტარიატის დიდ მასწავლებლებს.

წიგნი, რომელიც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა მოამზადა, გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1445“ ᲓᲐ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-1446“

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1445“.

თანამგზავრზე სამეცნიერო აპარატურის გარდა დადგმულია: რადიოსისტემა ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემა ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ მონაცემების დედამიწაზე გადაცემისათვის.

პროგრამით გათვალისწინებული სამეცნიერო კვლევა შესრულებულია. მიღებულ ინფორმაციას ამუშავებს თანადგომა ელიან. თავის მხრივ ამ სამსახურსაც სჭირდება დახმარება და ყურადღება. ზემდგომი ორგანოები მას ცოტაოდენი ტექნიკით რომ მიშველებოდნენ, აქ შეიქმნებოდა ერთი დამოუკიდებელი მექანიზებული რაზმი, რომელიც მთლიანად იქნებოდა დაკავებული ქიმიზაციისა და მცენარეთა დაცვის სამუშაოებით.

ამით მხოლოდ საერთო საქმე მოიგებს.

ᲗᲐᲣᲨᲐᲕᲘᲫᲔ.

საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწ

გამოცდილება

ბელგოროდი, 19 მარტი. (საკადესის სპეც. კორ.). 18-19 მარტს ბელგოროდში მიმდინარეობდა საკავშირო თათბირი, რომელზეც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მოთხოვნების შესაბამისად საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში კოლექტიური იჯარის დანერგვასთან დაკავშირებული ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების ამოცანები. თათბირში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, სკკპ სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრები, მთელი რიგი აგროსამრეწველო კომპლექსების, სამეურნეოთაშორისო კოლექტივების ხელმძღვანელები.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, აღნიშნა მან, ამ ცოტა ხნის წინ იმსჯელა საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის, მიმდინარე ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერების საკითხზე. ეს მოწმობს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრალური კომიტეტი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმას საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში.

სკკპ XXVI ყრილობამ, როგორც ცნობილია სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის წარმოების ზრდის დიდი და პასუხსაგები ამოცანები დააყენა. ამასთან დაკავშირებით ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგება საკითხები: როგორ გავზარდოთ მინდვრის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რა გზით გავადიდოთ სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების უკეთგება, როგორ გავხადოთ ჩვენი მუშაობა უფრო ქმედითი, უფრო შედეგიანი, როგორ დავაჩქაროთ ჩვენი წინსვლა-განვითარების ტემპი, როგორ მივაღწიოთ დასახული გეგმებისა და დავალებების უცილობელ შესრულებას?

ამ კითხვებზე პასუხს შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, მოხსენება, რომელიც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა გააკეთა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, მისი სტატია, ჟურნალ „კომუნისტში“ რომ გამოქვეყნდა კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავის გამო.

მათი მთავარი აზრი ის არის, თუ როგორ მივანიჭოთ ახალი იმპულსი ჩვენს საქმიანობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა მიმართულებით. უნდა შეექმნათ ისეთი პირობები— ეკონომიკურიც, ორგანიზაციულიც — რომლებიც სტიმულს მიანიჭებდნენ ხარისხოვან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივასა და თაოსნობას, გააძლიერებდნენ პასუხისმგებლობას საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესების დაცვისათვის, მტკიცედ დაფარმოოთ ბრძოლა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დაროვვის წინააღმდეგ.

პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა კოლექტიური იჯარის გამოყენება. კოლექტიური იჯარით მოშუავე ქვეგანაყოფების მრავალი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ერთნაირ პირობებში მუშაობისას ისინი სისტემატურად 20-30 პროცენტით მეტ პროდუქციას იღებენ ერთეულ ფართობზე. ასეთ კოლექტივებში გაცილებით მეტია შრომის ნაყოფიერება, ნაკლებია პროდუქციის თვითღირებულება და, მაშასადამე, გაცილებით უკეთესი უკუგება მოაქვს კაპიტალდაბანდებებს. ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებს მუშაკთა პირადი დაინტერესება არა ცალკეულ სახეობათა შესრულებული სამუშაოების მოცულობით, როგორც ეს სანარდო ანაზღაურების დროს ხდება ხოლმე, არამედ, საბოლოო შედეგით — უმეტესი რაოდენობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებით.

მ. ს. გორბაჩოვმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები იმ საწარმოო ქვეგანაყოფების მუშაობის შედეგების დასახასიათებლად, რომლებიც კოლექტიურ იჯარას იყენებენ. კოლექტიური იჯარის მეთოდით მომუშავე ბრიგადებში, რგოლებსა და სხვა ქვეგანაყოფებში მარჯვედ ეხამება მუშაკთა პირადი ინტერესები და კოლექტივის ინტერესები მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საერთო ამოცანებს, მუშები, კოლეგურნეები შრომითი კოლექტივის მეშვეობით ებმებიან მეურნეობის საქმეთა მართვაში, მონაწილეობენ საწარმოო საქმეების განხილვაში, თავად განსაზღვრავენ თავიანთ ქვეგანაყოფებში შრომის ანაზღაურების წესს.

კოლექტიური იჯარის რეზერვები

რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ცენტრალური კომიტეტი შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესულ ფორმას საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, დისციპლინისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში.

სკკპ XXVI ყრილობამ, როგორც ცნობილია სოფლის მეურნეობის დარგში პროდუქციის წარმოების ზრდის დიდი და პასუხსაგები ამოცანები დაადგინა. ამასთან დაკავშირებით ახლა განსაკუთრებით მწვავედ დგება საკითხები: როგორ გავზარდოთ მინდვრის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რა გზით გავადიდოთ სოფლის მეურნეობაში კაპიტალური დაბანდების უკეთგება, როგორ გავხადოთ ჩვენი მუშაობა უფრო ქმედითი, უფრო შედეგიანი, როგორ დავაჩქაროთ ჩვენი წინსვლა-განვითარების ტემპი, როგორ მივაღწიოთ დასახული გეგმებისა და დავალებების უცილობელ შესრულებას?

ამ კითხვებზე პასუხს შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები, მოხსენება, რომელიც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა გააკეთა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, მისი სტატია, ჟურნალ „კომუნისტში“ რომ გამოქვეყნდა კარლ მარქსის დაბადების 165 წლისთავის გამო.

მათი მთავარი აზრი ის არის, თუ როგორ მივანიჭოთ ახალი იმპულსი ჩვენს საქმიანობას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა მიმართულებით. უნდა შეექმნათ ისეთი პირობები— ეკონომიკურიც, ორგანიზაციულიც — რომლებიც სტიმულს მიანიჭებდნენ ხარისხოვან, ნაყოფიერ შრომას, ინიციატივასა და თაოსნობას, გააძლიერებდნენ პასუხისმგებლობას საერთო-სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო ინტერესების დაცვისათვის, მტკიცედ დაფარმოოთ ბრძოლა პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველგვარი დაროვვის წინააღმდეგ.

პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საშუალებაა კოლექტიური იჯარის გამოყენება. კოლექტიური იჯარით მოშუავე ქვეგანაყოფების მრავალი წლის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ერთნაირ პირობებში მუშაობისას ისინი სისტემატურად 20-30 პროცენტით მეტ პროდუქციას იღებენ ერთეულ ფართობზე. ასეთ კოლექტივებში გაცილებით მეტია შრომის ნაყოფიერება, ნაკლებია პროდუქციის თვითღირებულება და, მაშასადამე, გაცილებით უკეთესი უკუგება მოაქვს კაპიტალდაბანდებებს. ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებს მუშაკთა პირადი დაინტერესება არა ცალკეულ სახეობათა შესრულებული სამუშაოების მოცულობით, როგორც ეს სანარდო ანაზღაურების დროს ხდება ხოლმე, არამედ, საბოლოო შედეგით — უმეტესი რაოდენობის მაღალხარისხოვანი პროდუქციის მიღებით.

მ. ს. გორბაჩოვმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები იმ საწარმოო ქვეგანაყოფების მუშაობის შედეგების დასახასიათებლად, რომლებიც კოლექტიურ იჯარას იყენებენ. კოლექტიური იჯარის მეთოდით მომუშავე ბრიგადებში, რგოლებსა და სხვა ქვეგანაყოფებში მარჯვედ ეხამება მუშაკთა პირადი ინტერესები და კოლექტივის ინტერესები მეურნეობის პროდუქციის წარმოების გადიდების საერთო ამოცანებს, მუშები, კოლეგურნეები შრომითი კოლექტივის მეშვეობით ებმებიან მეურნეობის საქმეთა მართვაში, მონაწილეობენ საწარმოო საქმეების განხილვაში, თავად განსაზღვრავენ თავიანთ ქვეგანაყოფებში შრომის ანაზღაურების წესს.

შეაფასა რა შეძენილი გამოცდილება, ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ კოლექტიური იჯარა ეფექტიანია პრაქტიკულად ყოველგვარი სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში. სანარდო ანაზღაურებასთან შედარებით იჯარის მეთოდი ყველა შემთხვევაში უზრუნველყოფს უფრო მაღალი საბოლოო შედეგის მიღწევას. მაგრამ, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ამ პროგრესული ფორმის აშკარა უპირატესობის მიუხედავად, კოლექტიური იჯარა ჯერ-ჯერობით ნელა ინერგება, არ იგრძნობა სათანადო გაქანება. კოლექტიური იჯარის დანერგვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელი კადრებისაგან მოითხოვს უფრო დაკვირვებულ დაგეგმვასა და ეკონომიკურ ანალიზს, წარმოების მართვისა და ორგანიზაციის ზოგადი დონის ამაღლებას, ტექნოლოგიური დისციპლინის განუხრელ დაცვას, ეკონომიკური სამსახურების მუშაობის განმტკიცებასა და მნიშვნელოვან გაუჯობესებას.

ბეგრგან შრომითი კოლექტივების დაკომპლექტებას ფორმალურად ეკიდებიან. ასეთი ქვეგანაყოფების ორგანიზაციის დროს ორივეგვა ნებაყოფლობის პრინციპი. ხშირად არ ითვალისწინებენ მუშაკთა აზრს შრომის ანაზღაურებისა და პრემირების წესის განსაზღვრისას. არც თუ იშვიათად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები არ ასრულებენ სახელშეკრულები ვალდებულებებს, ძირითადი სამეშოისაგან აცდენენ ადამიანებს და ნაკლებმნიშვნელოვან უბნებზე გადაჰყავთ.

კოლექტიური იჯარის დანერგვა ახლა სასოფლო-სამეურნეო უწყება-სამინისტროებს, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებს, პროფკავშირული ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მიმართულება უნდა გახდეს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხალ-ბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტრომ საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის შრომსახკომთან ერთად უნდა გააქტიურონ მუშაობა კოლექტიური იჯარის დანერგვის ორგანიზაციისათვის, უფრო ღრმად ჩასწვდნენ ადგილობრივ საქმეთა ვითარებას, ქმედითი დახმარება გაუწიონ მეურნეობათა ხელმძღვანელებსა და საეციალისტებს, უფრო ფართოდ მიიზიდონ ამ ამოცანების გადასაწყვეტად შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დარგობრივი ცენტრები და საშეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებისა და სასურსათო პროგრამის შესრულება, მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასვლა პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს სოფლად ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის უფრო მაღალ დონეს, მისი ქმედითობისა და შედეგიანობის გაძლიერებას. ახლა განსაკუთრებით საჭიროა ყურადღება მივაპყროთ მუშაობას უშუალოდ შრომითს კოლექტივებში, თითოეული მუშაკისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავებას საზოგადოებრივი წარმოების განვითარების, მიწის, ტექნიკის, სხვა რესურსების ეფექტიანი გამოყენების, საუკეთესო საბოლოო შედეგების მიღწევისათვის.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, ბევრი პროგრესული წამოწყება აქტიურად ვრცელდება და განსაკუთრებით ეფექტიანად მოქმედებს მაშინ, როდესაც მათ ფართოდ უჭერენ მხარს პარტიის რაიკომები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ამას უშუალო კავშირი აქვს კოლექტიური იჯარის დანერგვასთან. ამას მოწმობს პარტიის ნიკოლაევის ოლქის ბაშტანკის რაიკომის, როსტოვის ოლქის — მილეროვოს, სარატოვის ოლქის — ბალაკოვოს, ბელგოროდის ოლქის — ბელგოროდის, ორიოლის ოლქის — გლაზუნოვკის რაიკომების გამოცდილება. ამ პარტიის რაიკომების მაორგანიზებელ როლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოებაში კოლექტიური იჯარის ფართოდ დანერგვის უზრუნველყოფის საქმეში.

მიმდინარე წელი უნდა გადავაქციოთ კოლექტიური იჯარის მასობრივი დანერგვის ეტაპის დასაწყისად, რათა მეთერმეტე ხუთწლედში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ეს პროგრესული ფორმა მტკიცედ დამკვიდრდეს საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის წარმოების პრაქტიკაში.

დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და შესყიდვის ზრდის წლევანდელი გეგმების სარეალიზაციოდ მთელ ჩვენს პრაქტიკულ მოქმედებას ნიადაგ უნდა ვამოწმებდეთ სასურსათო პროგრამის მიხედვით, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

* * *

შემდეგ გამოვიდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. ი. ივენტევი, ბელგოროდის ოლქის ბელგოროდის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ი. გორინი, სკკპ ორიოლის ოლქის გლაზუნოვკის რაიკომის პირველი მდივანი ტ. ნ. კონოვალოვა, ნიკოლაევის ოლქის ბერეზანკის რაიონის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ ბრიგადირი ლ. ი. შლემინი, რუსეთის სფს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრი ვ. პ. ნიკონოვი და სხვები, რომლებმაც ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კოლექტიური იჯარის ფართო დანერგვა ხელს შეუწყობს მიწის, ტექნიკის, მთელი მატერიალური რესურსებისა და კაპიტალური დაბანდების ეფექტიან და რაციონალურ გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, კადრებს პასუხისმგებლობის ამაღლებას დისციპლინის განმტკიცებისათვის. სამეურნეოთაშორისო ქვეგანაყოფები, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, ღირსეულ წვლილს შეტანენ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ცენტრალური და რესპუბლიკური უწყება-სამინისტროების პასუხისმგებელი მუშაკები.

ახალი გრაფიკით, ახალი წესით

20 მარტი საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღეა

თბილისში, ავჭალის გზატკეცილისაკენ თუ გიმგზავრია, თქვენს ყურადღებას უთუოდ მიიქცევდა დიდი ნაგებობა — საყოფაცხოვრებო მომსახურების ცენტრალური სახლი. იგი არა მარტო გარეგნულად არის შესანიშნავი, არამედ მუშაობითაც — მრავალმხრივ მომსახურებას უწევს ჩვენს ადამიანებს. იქნებ გისარგებლიათ კიდეც მისი სიკეთით? თუ ასეა, ნათქვამში დაგვეთანხმებით.

ამ სახლში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რამდენიმე მსხვილი რესპუბლიკური გაერთიანებაა მოთავსებული, რომელთა მიმღები პუნქტები და სამკრეოები თბილისის უბნებში, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონსა და ქალაქშია განშტოებული.

გაერთიანებები თებერვლიდან ახალი გრაფიკით მუშაობენ. ახლა მათი მიმღები პუნქტები, საამკრეოები და ატელიეები სამუშაო დღეების გარდა შაბათ-კვირაობითაც დილის 9-10 საათიდან საღამოს 21 საათამდეა ღია.

ახალი გრაფიკით მუშაობის შედეგებზე ვესაუბრეთ „საქრადიოტელემომსახურების“ თბილისის გაერთიანების უფროსს ნოდარ გეჯაძეს. საყოფაცხოვრებო მომსახურების ფეხსაცმელების ინდივიდუალ და შეკეთების თბილისის გაერთიანების უფროსს ბადრი ყვანიას და „საქყოფრემტექნიკის“ თბილისის გაერთიანების მთავარ ინჟინერს ოთარ ჭლანტიაშვილს, რომლებმაც ერთმანეთს განაცხადეს, რომ მუშაობის ახალმა გრაფიკმა განამტკიცა წესრიგი, აამაღლა მომსახურების ხარისხი, რის შედეგად მშრომელი ადამიანები კმაყოფილებას გამოთქვამენ.

„საქრადიოტელემომსახურების“ გაერთიანებაში გათვალისწინებული იყო, რომ სრილია გრაფიკით ეშუშავათ დილის 10 საათიდან საღამოს 20 საათამდე, მაგრამ კომუნისტებმა მუშაობის 21 საათამდე გაგრძელება ითავეს, რასაც კოლექტივმა მხარი დაუჭირა. რადიომექანიკოსებმა ანვარსა და თებერვალში წარმოების რენტაბელობა გეგმასთან შედარებით 11 ათასი მანეთით გაზრდეს. შრომის ნაყოფიერება გადიდდა 1,18 პროცენტით. თვითღირებულების შემცირებამ ათასობით მანეთი დაზოგა.

წარმატებები მოიპოვეს ფეხსაცმლის მკერავებმაც. თებერვლის გეგმა გაერთიანებამ 101,3 პროცენტით შეასრულა. წინა თვეებში ასეთი შედეგები მათ არ ჰქონდათ. ამატა შეკვეთების რაოდენობამ, გეგმის პროცენტულმა მაჩვენებელმა.

„საქყოფრემტექნიკის“ თბილისის გაერთიანების მთავარი ინჟინერი ოთარ ჭლანტიაშვილიც ადასტურებს ახალი გრაფიკის სიკეთეს. მათს სამმართველოშიც გაცილებით გაუმჯობესდა მოსახლეობის მომსახურება. მომსახურების პუნქტები რომ შაბათსაც და კვირასაც ღიაა, ამან საქმე დიდად წასწია წინ. ეს კი იმას ადასტურებს, რომ მოსახლეობისათვის ხელსაყრელია დასვენების დღეებში საოჯახო-საყოფაცხოვრებო მომსახურება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტექნიკის საამქროები მთელი დატვირთვით განსაკუთრებით შაბათს მუშაობენ.

გაერთიანების მუშაობაში ნაკლი და ხარვეზი ჯერ კიდევ არის, მაგრამ მთელი კოლექტივი, მისი ყველა მუშაკი ყოველი ღონისძიებისაა, რომ სულ უფრო უმჯობესდებოდეს მომსახურების კულტურა, ხელი ეწყობოდეს ადამიანებს მუშაობასა და ცხოვრებაში. ცხადია, ამ საქმის ავანგარდში კომუნისტები და კომკავშირელები არიან, რომლებსაც საგებგმო დავალებათა შესრულება, კეთილი მომსახურებით ადამიანებისათვის კმაყოფილების მინიჭება ღირსების საქმედ, საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ.

ნ. ნუცუბიძე.

თავის პროფესიულ დღესასწაულს შრომითი მიღწევებით ეგებება საბინაო-კომუნალური მეურნეობის სისტემის საწარმოს — თბილისწყალმოწყობილობის ქარხნის კოლექტივი. აქ წარმატებით შეასრულეს წლევანდელი წლის ორი თვის დავალება და ზეგეგმით 6 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

სურათზე: მარცხნიდან — ქარხნის მექანიკური საამქროს ხარატი, შრომის დიდების ორდენოსანი ო. მეიფარიანი, ამავე საამქროს უფროსი ა. ხუბეროვი და ოსტატი ბ. დახუნდარიძე ამოწმებენ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ვ. ბენგბიურის ფოტო.

დღესასწაულის აღსანიშნავად

მოსკოვი

მილიონობით შეკვეთას ასრულებენ ყოველდღიურად მომსახურების სფეროს მუშაკები. მათი დარგების მუშაობის ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. აი რატომ არის, რომ მომსახურების სფეროს შემდგომ განვითარებას და ტექნიკურ განახლებას მუდმივი ყურადღება ეთმობა.

ეს ითქვა საზეიმო კრებზე, რომელიც მიეძღვნა დარგის მშრომელთა პროფესიულ დღესასწაულს — საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღეს. იგი 18 მარტს გაიმართა მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

კრებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ი. ბოდიული, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ნ. დმიტრიევი, მთელ რიგ უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელები, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავენი, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა რუსეთის სფს რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრმა თ. ვ. პოპოვმა.

(საკადესის კორ.).

თბილისი

საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა გაიმართა 18 მარტს თბილისის ა. ს. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულ დრამატულ თეატრში.

სხდომა გახსნა რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ვ. სობოლევმა.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა საქართველოს ადგილობრივი მრეწველობისა და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების სწარმოთა მუშების პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ბუჟგულაშვილი.

საზეიმო სხდომას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ხაბეიშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა., საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგე ა. კავსაძე.

დარგის მშრომელებს —სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს სხდომაზე გადაეცათ „საყოფაცხოვრებო მომსახურების წარჩინებულის“ ნიშნები, საპატიო სიგელები, წაიკითხეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი წარმოების მოწინავეებისათვის „საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დამსახურებული მუშაკის“ წოდების მინიჭების შესახებ. (საქინფორმი).

ინფორმაცია—83 • ინფორმაცია—83

ცენტრი გიწვევთ სასწავლებლად

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრი. იგი იმუშავებს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის ხახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული და საბჭოთა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივი კურსების ბაზაზე.

ამ ცენტრას დანიშნულებასა და ამოცანებზე საქინფორმის კორესპონდენტის თოროვი გვესაუბრება მისი ხელმძღვანელი, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. გ. ქადაგიძე.

— ცენტრის შექმნა, — თქვა მან, — განსაზღვრეს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის, მთლიანად რესპუბლიკაში მათი კვალიფიკაციის ამაღლების მთელი სისტემის უზრუნველყოფის შესახებ. მაგალითად, ჩვენს ინსტიტუტში დღემდე კვალიფიკაციის იმაღლებდნენ მარტო სამეურნეო ხელმძღვანელები, ხოლო მუდმივმოქმედ კურსებზე — პარტიული და საბჭოთა მუშაკები. ერთიანი ცენტრის შექმნის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრები ერთად ისწავლიან, ერთად აიმაღლებენ იდეურ-თეორიულ დონესა და საქმიან კვალიფიკაციას.

კადრების სწავლება ახალი პრინციპით მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყება. ეს კი ნიშნავს, რომ ახალი სასწავლო წლიდან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, ჩვენი საოლქო კომიტეტების პასუხისმგებელ მუშაკებს, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველ მდივნებს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეებს აღარ მოუხდებათ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე სასწავლებლად წასვლა. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში კვალიფიკაციას იმაღლებენ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურულ მუშაკთა რეზერვი, ხოლო მუდმივმოქმედ კურსებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები, პარტიის რაიონული, საქალაქო კომიტეტების განყოფილებათა გამგეები, რესპუბლიკის სამრეველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და სხვები.

რაც შეეხება ცენტრის წინაშე დასახულ უშუალო ამოცანებს, ეს არის, ისევე როგორც წინათ, ხელმძღვანელი კადრების ცოდნის გაღრმავება მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალურ საკითხებზე და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების, პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების, სახალხო მეურნეობის დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის აქტუალურ საკითხებზე. ამასთან ცენტრმა უნდა უზრუნველყოს პარტიული და საბჭოთა მშენებლობის, სახალხო მეურნეობის მართვისა და დაგეგმვის დარგში პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ქსელისადმი მეთოდიკური ხელმძღვანელობა. მას დაკისრებული აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კადრებთან მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ორგანოს ფუნქციები. სერიოზული ამოცანებია დასახული ცენტრის წინაშე მართვის ობიექტების სისტემური ანალიზისა და მოდელირების დარგში, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების აქტუალური პრობლემების, ხელმძღვანელის პოლიტიკური და საქმიანი თვისებების შეფასების მეთოდების დარგში.

ახალი მოთხოვნების დონეზე

გაიმართა რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომლის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში იყო საკითხები, თუ როგორ აღზარდონ მშრომელნი საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, უზრუნველყონ საბჭოთა კულტურის მიღწევათა პროპაგანდა მოსახლეობას შორის, აამაღლონ ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კულტურული მომსახურების დონე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. მომხსენებელმა — რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. გამრეკელმა გააანალიზა გასული წლის მუშაობის შედეგები, ყურადღება მიაპყრო კულტურის მუშაკთა ამოცანებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

გასული წელი — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელი კულტურის დაწესებულებათა მუშაობის საგრძნობი აღმავლობით აღინიშნა. მოეწყო თემატური საღამოების ციკლები, ინტერნაციონალური მეგობრობის დღესასწაულები, ფესტივალები, კონკურსები, ეერნისაჟები, დათვალიერებანი, ყველა ამ ღონისძიებამ მაღალ იდეურ-მხატვრულ დონეზე ჩაიარა. მიგნებულია ხელოვნებისა და შრომის ადამიანთა თანამგობრობის ახალი ფორმები, რომლებიც უფრო სრულად ითვალისწინებენ მშრომელთა კულტურულ მოთხოვნებს.

დიდი ყურადღება ეთმობა მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების განვითარებას. რესპუბლიკაში დაახლოებით 8.700 თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივია, რომლებიც 150 ათასამდე მონაწილეს აერთიანებს. გაიზარდა სოფლის სახალხო უნივერსიტეტების რიცხვი, რომლებიც სოფლად კულტურული ცხოვრების ნამდვილი ცენტრები გახდნენ.

მომხსენებელმა და გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს დადებითი შედეგები, ამასთან ყურადღება გაამახვილეს არსებულ ნაკლოვანებებზეც. არადა, ნაკლოვანებანი არც ისე ცოტაა. მთელ რიგ შემთხვევებში კულტურის კერების მუშაობა არ არის საკმაოდ ქმედითი, მასში შეიმჩნევა ფორმალიზმის ელემენტები. კრების მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაკები მოწოდებულნი არიან უფრო აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყვნენ პარტიის აქტიური თანამშრომელი მშრომელთა დასარაზმავად ხუთწლედის ამოცანების გადაწყვეტისათვის. კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს კულტურის დაწესებულებათა ამოცანებს ღირსსახსოვარი თარიღის — ვეორგიევკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით. მთელ მუშაობას უნდა წარმართავდნენ პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. ჯანბერიძე, საქართველოს კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი. (საქინფორმი).

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით:

პარტიულ, კომკავშირულ ორგანოებსა და მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ანზორ ვიქტორის ძე **ბურჯანაძე** დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით.

პარტიულ ორგანოებსა და ჯანრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის მდივანი ამხ. მარ

მეგობართა პოეტური ხმები

ბიორბი გუბლია

მშობლიურო მიწავ!

ხე ვიყო, ბაღნარს, ნეტავი,
გაბარჯღული და სრული!
შენ ჩემს ტოტებქვეშ ნეტარი
სიმშვიდე პოვო სულის.

ნეტა მქნა თბილი ზეფირი —
ყელს შემოვევლო შენსას.
ან მთის წყარო მქნა — მხეფები
შენმა ველებმა შესვან!

შენს ცის ლაჟვარდში გამადნო, —
ზღვისას რომ ერთვის არილს!
სხივი მქნა — მარად ვანათო
შენი მთები და ბარი!

მეზობელი

მეზობლის უნდა იცოდე ყადრი —
ზურგს ნუ შეაქცევ, გახსენი სახე.
ვიღა გაიგებს და მასზე ადრე
ვიღა გაიყოფს შენს ჭირს და
ნაღველს?!

ის არის გულიც და თვალის ჩინიც —
დამახსოვრება ამისი გმართებს.
უგულოდ — როგორ გაალღობ
ყინულს?!
უჩინოდ — როგორ შეხედავ...
ნათელს?!

ბრძოლის ადგილას

შერუჯული და გამომხმარი
დგანან ნაძვები
იქ, სადაც ადრე
ომის ცეცხლმა გადიბრიალა
და შეტევაზე გადასული
ჯარისკაცების
შემართულ ნიშტებს მაგონებენ —
ძლევის იარაღს.
ფრინველთ ყლურტული შემომესმა
ახლოს სრულებით,
ზე ავიხედე.
გამაჟრჟოლა და ელდა მეცა:
თითქოს დაცემულ ჯარისკაცთა
ლაღი სულები,
ჩიტები სტვენით სამშობლოის
სერავდნენ ზეცას.

აფხაზურიდან თარგმნა
ბივი ბერაია.

ტაიფ აჯბა

ბედნიერება

ბედნიერებას კარდაკარ სდიე
და დაყოვნება მისი ნუ გიკვირს,
თუკი ღირსი ხარ, გვიანაც ძლიერ
ბედნიერების დაიდგამ გვირგვინს.
მე მტკიცედ მწამს და მე მტკიცედ
მჯერა,
ბედნიერება განძია შენი.
არავითარი შიში და ღელვა,
ბედნიერება შენ ფრთებად გშვენის.

მაგრამ, ვაი რომ, მძიმეა იგი
და რა ძნელია ატარო გზებზე,
სად ყოველდღიურ ცხოვრების რიგით
წვრილმანით ცხოვრობ და
წვრილმანს ეძებ.
მე კარგად მახსოვს,
მე მახსოვს კარგად,
შენი ცხოვრებით ცხოვრობდა იგი,
მშვენიერების ვით მწვანე ქარგა,
მშვენიერების ვით მწვანე წიგნი.

ბედნიერებას კვალდაკვალ სდიე,
და დაყოვნება მისი ნუ გიკვირს,
თუკი ღირსი ხარ, გვიანაც ძლიერ,
ბედნიერების დაიდგამ გვირგვინს.
მე მტკიცედ მწამს და მე მტკიცედ
მჯერა,
ბედნიერება განძია შენი.
არავითარი შიში და ღელვა,
ბედნიერება შენ ფრთებად გშვენის.

ცისფერი ჩიტის სიმღერა

ცისფერი ჩიტი, ციცქნა,
ცრემლივით რომ ზის რტოზე,
მესმის, სიმღერად იქცა,
გაჯიბრებია მგოსნებს.

სიმღერად იქცა ირგვლივ
ცვრით გალუმპული ველი,
ეს მერამდენედ რიგით
ჩიტი ჩემს სათქმელს მღერის.
სიმღერად იქცა თვით ტყე,
ვარდიც ღიმილად გალღვა,
როგორც მშობლიურ სიტყვებს,
სიო ზეპირობს გაღმა.

ციცქნა ჩიორას ძახილს
სიმღერით აჰყვა წყარო,
ცა გაცრეცილი მაღლით
ჩიტის გალობას სწავლობს.

თითქოს ფეხის ხმას ვისმენ
უკვე გარდასულ წელთა,
ჩიტი უმღერის ცის ფერს
და ცა ცრემლივით წვეთავს.
ვისმენ ბუნების ენას
და ვჭვრეტ უხილავ მხარეს
და ჩიტის ეს სიმღერა
სხივივით კოცნის თვალებს.

ო. გულისფეთქვავ ჩემო,
კვლავ რა სასწაულს ელი?
რაც მე მსურს დავიჩემო,
ჩიტმა თქვა ღვთიურ ენით!

აფხაზურიდან თარგმნა
ჯანო ჯანელიძემ.

კომუნისტი

საკვირველი საკვირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშეფო კონცერტები

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა დიდი კონცერტი გაიმართა მცხეთაში. სტუმრებმა წარმოადგინეს საინტერესო პროგრამა, რომელშიც შედიოდა ქართული ხალხური სიმღერები, მსოფლიო მუსიკის კლასიკოსთა ნაწარმოებები, აგრეთვე თვით სტუდენტთა სიმღერები და ლექსები.

— მცხეთაში გამოსვლები ჩვენი ურთადერთი საშეფო ლონისძიება რჩება, — თქვა ინსტიტუტის პრორექტორმა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში ვ. ციხცაძემ. — გასულ წელს ქარელის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობაში ჩვენ კონცერტი გავმართეთ, დავეხმარეთ მშრომელებს ხილის კრეფაში. ამ ცოტა ხნის წინ საშეფო ხელშეკრულებანი დავუდეთ ახალციხისა და ასპინძის რაიონების კოლმეურნეებს. ამ რაიონებში 300 სტუდენტი გაემგზავრება შრომითი სემესტრის დროს. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ტერასებზე ბაღების აღდგენაში, არქიტექტურის ძეგლების რესტავრაციაში. სტუდენტები მუდმივ კავშირს დაამყარებენ რაიონის სკოლებთან, ხოლო მასწავლებლები მოსწავლეებს გაუმართავენ კონსულტაციებს. ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა რაიონებში მოაწყობს ლექციების ციკლს. კოლმეურნეთა წინაშე გამოვა ინსტიტუტის მხატვრული თვითმოქმედების ანსამბლი. (საქინფორმი).

ჰოეზია ფერებში

თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიხსნა თვითმოქმედი მხატვრის ბიეტა აბშილავას ნამუშევრების მეორე პერსონალური გამოფენა. იგი პროფესიით ფილოლოგია და სამუშაოდან თავისუფალ დროს ახმარს თავის გატაცებას — მხატვრულ ქარგვას.

მნახველთა ყურადღებას იპყრობს შოთა რუსთაველის ფორიზმების საინტერესო გაფორმება, აკაკი წერეთლის პორტრეტი, პეიზაჟი ფუხრან მაჭავარიანის ლექსისათვის.

ექსპოზიციაში წარმოდგენილია დაახლოებით ასი ქართველი მწერლის — დავით გურამიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას, ილია ჭავჭავაძის და სხვების ხელნაწერები და ავტოგრაფები. (საქინფორმი).

ოფვიათი პროფესიის ადამიანები

თამამად, კასკადიორებო!

მეფე ერეკლეს ბედაური გაჭენდა და ამალა ხელმწიფეს უკან აედევნა სასახლისაკენ. მსუბუქად და ლაღად მიჰქროდა კავალკადა. ამაყად და მოხდენილად ისხდნენ უნაგირებზე მხედრები. მეფის ერთ-ერთი დაახლოებული პირის როლს გ. ლორთქიფანიძის ფილმში „წიგნი ფიცისა“ ასრულებს კინოსტუდია „ქართული ფილმის“ 33 წლის კინოკასკადიორი ვაჟა ქობულაშვილი.

— კინოში ოცი წლის მუშაობის მანძილზე ვისი როლი აღარ შემისრულებია, — თქვა ვაჟამ. — კაზაკიც ვყოფილვარ, იმდიელიც, კოვბოიც, დრაგუნიცა და პოლიციელიც...

თორმეტი წლის ბიჭუნა იყო, როცა გადამღებ ჯგუფში მოხვდა. მის მშობლიურ სოფელ დიღომში ჩავიდნენ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ წარმომადგენლები, გ. შენგელაიას ფილმის „ჯილდოს“ გადასაღებად ცხენები უნდა შეერჩიათ. ქობულაშვილების ოჯახის ხუთი ცხენიდან ვაჟას საყვარელი „ნიშა“ ამოარჩიეს. ცხენი მხოლოდ მას ემორჩილებოდა და ვაჟა ეპიზოდურ როლში აიყვანეს. კაზაკის ფორმაში გამოწყობილი ბიჭუნა პირველად გამოჩნდა ეკრანზე.

იგი კასკადიორი უცბად არ გამხდარა. მაშინ ძალზე ნორჩი იყო და ტრიუკების გაკეთებას ვერ ანდობდნენ. მთელი ამ ხნის მანძილზე თვალს ადევნებდა, თუ როგორ მოქმედებდნენ კასკადიორები გადაღების დროს.

— კასკადიორობის სწავლა არ შეიძლება, — ამბობს ვაჟა, — ისევე, როგორც ვერ ინათხოვრებ მამაცობას. შენს თავში უნდა იყო დარწმუნებული, არ უნდა გეშინოდეს, როგორიც იყო ცნობილი კასკადიორი სერგი მამსუროვი. მისი მუშაობით აღფრთოვანებული ვიყავი.

კასკადიორის პირველი როლი მხოლოდ 1970 წელს შეასრულა, როცა საქართველოს შესახებ დოკუმენტურ ფილმს იღებდნენ. მაშინ ვაჟა მონაწილეობდა ხევსურულ დოღში. რეჟისორის ჩანაფიქრით ცხენი ციცაბო დაღმართში უნდა წაბორძიკებულიყო. ქობულაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა ეს ტრიუკი. დუბლის გადაღებაც კი არ დასჭირდათ. იგი ცხენიდან ჩამოვარდა, მაგრამ უმალ ზურგზე მოეკრა და გაიქროლა. ამ პატარა ეპიზოდიდან დაიწყო ვაჟას ნამდვილი კასკადიორის ბიოგრაფია. მდინარის გადალახვაც უხდებოდა, ბორნიდანაც ხტებოდა, გაჭანებული ცხენიდანაც ვარდებოდა. მას იღებდნენ არა მარტო საბჭოთა ფილმებში, არამედ საზღვარგარეთული კინოსტუდიების სურათებშიც. იგი ამისათვის საზღვარგარეთ არ გამგზავრებულა. გადასაღები მოედანი ძირითადად ყაჯარეველო იყო, თუმცა საბჭოთა კავშირშიც ბევრი იმოგზაურა.

ვაჟა კარგად იცნობს კინოსტუდიის საცხენოსნო ბაზის ოცდაათიე ცხენს. ერთს შეუძლია წაკეცვა, მეორე შესაბმელად გამოდგება, მესამე დაბრკოლებების დაძლევაშია კარგი...

— მისი არაჩვეულებრივი სიყვარული ცხენისადმი ბევრ ახალგაზრდას გადაედო, — თქვა საცხენოსნო ბაზის უფროსმა მ. ხოჯაევმა, წარსულში კასკადიორმა. — ისინი ჩვენთან მოდიოდნენ ხოლმე საყურებლად და მერე დარჩნენ. ფ. არჯანოვმა გვთხოვა, თავლაში ამიყვანეთო. ვ. ქებულაძემ თავი მიანება გამნათებლის სამუშაოს და მეჯინიბედ წამოვიდა ჩვენთან. ყველა ვ. ქობულაშვილის, ვ. ხაჩატურიანის, ვ. მიხაილოვის მსგავსად კასკადიორი არ გახდა, მაგრამ მათ აერთიანებს საქმისათვის თავდადება, მეგობრობის გრძნობა.

ლ. ტრუდკოვა,
(საქინფორმის კორ.).



საუკუნის მხარდამხარ

სათქვენო შეხვედრები

ფართო მოხმარების „პროდუქციას“ (ვაი, რომ ზოგჯერ ეკარგი ამ დონემდე დაღის ხოლმე).

სხვათა შორის, სულაც არ ვაპირებ მკვეთრად გავმიჯნო კინო და ტელევიზია. ორივე ვითარდება ერთიან პროცესში, ორივე არსებობს საბოლოო ანგარიშით მაყურებლისათვის. არასდროს დამავიწყდება გ. კოზინცევის დიდი ხნის წინანდელი გამოსვლა კინემატოგრაფისტთა კავშირში. მან დაიმოწმა წინა ორატორი — ახალგაზრდა რეჟისორი, რომელიც მოითხოვდა გაეხსნათ პატარა საექსპერიმენტო კინოდარბაზები, სადაც სეანსის წინ ავტორები გამოვიდოდნენ და საკუთარ ფილმებს განმარტავდნენ. კოზინცევმა თქვა, რომ მხურვალედ უჭერს მხარს ფილმების მიწოდების ასეთ ფორმას, მაგრამ იქვე დასძინა: ომერთმა ნუ ქნას, ასეთ კინოთეატრებში ჩემი სურათები აჩვენონო. იგი მუდამ ისწრაფვოდა ყველაზე თამამი ექსპერიმენტებიც კი საყოველთაო კუთვნილებად გადაექცია.

— და კოზინცევის ფილმები მართლაც გადიოდა დიდ დარბაზებში, მათ რეჟისორის სიცოცხლეშივე აღიარებდნენ კლასიკოსად არა მარტო სპეციალისტები, არამედ მასობრივი მაყურებელიც, — ამრიგად, თქვენ განზრახული გაქვთ წარმოაჩინოთ დონ კიხოტის პიროვნების ქმედითი, პოზიტიური მხარე. იმას რაღა ვუყოთ, რასაც ხშირად უწოდებენ ამაო „დონ კიხოტობას“, რაზეც საერთოდ იცინიან ხოლმე?

— კატეგორიულად უარვყოფ ასეთ შეხედულებას დონ კიხოტზე და შევეცდები ჩემს ნამუშევარში რაც შეიძლება სრულად გამოვხატო ეს. სერვანტესი ისწრაფვოდა რაც შეიძლება ნაკლებად გამოეჩინა მოვლენათა ანეკდოტურობა, და მეტად — ნაწარმოების ფილოსოფია. რა თქმა უნდა, ჟანრის კომედიურობა თუ არ შეინარჩუნე, უამისოდ „დონ კიხოტი“ არ გამოგიგა. მაგრამ კომედიასაც გაჩნია. მე მგონი, ფილმი უნდა იწვევდეს ღიმილს, და არა ისეთ რეაქციას, როგორც ზოგიერთ კომედია, როცა ხალხი „სიცილით იხოცება“. რომანში დიადი რუსულად ერწყმის იუმორისტულს, პათეტიკური — კომიკურს. გორკი აღნიშნავდა: „წიგნი სასაცილოდ არის დაწერილი... მაგრამ ამას მოითხოვდა იმ დროის პირობები. როცა იგი იწერებოდა... მისი კითხვა კი სერიოზულად, ყურადღებიანად გვმართებს“.

— ამრიგად, ეს ფილმი ბევრ ეჭვს ბადებს. ეს ეჭვი ეხება ფილმის ფორმას, ჟანრს. ეს ეჭვი ეხება ფილმის ენას, ეს ეჭვი ეხება ფილმის ენას, ეს ეჭვი ეხება ფილმის ენას,

ულტიმატუმი
ფაქტები მოვლენები
საკლასო იუწყება

აგრესორები—სამარცხვინო ბოძზე!

ტოკიო. **იაპონიის დედაქალაქში გაიხსნა ლიბანში ისრაელის დანაშაულობათა მამხილებელი საზოგადოებრიობის საერთაშორისო ტრიბუნალი.** მის მუშაობაში მონაწილეობენ იაპონიის, სსრ კავშირის, ინდოეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი.

ტრიბუნალის სესიებზე მოისმენენ იმათ ჩვენებებს, ვინც შეესწრო ტელ-ავივის შეიარაღებულ აგრესიას ლიბანის წინააღმდეგ. საკუთარი თვალით ნახა, როგორ ქლეტდა ისრაელის მხედრიონი მშვიდობიან მოსახლეობას — პალესტინელებსა და ლიბანელებს.

ტრიბუნალის გახსნაზე სიტყვა წარმოთქვა იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ მ. მაკიედამ. მან აღნიშნა, რომ ტელ-ავივის მიერ გაჩაღებული აგრესია ლიბანში, რომელსაც გადაჭრით გმობს მსოფლიო გაერთიანება, მიზნად ისახავს მოსპოს პალესტინის არაბი ხალხი. ეს მოქმედება, ხაზი გაუსვა მან, თავისი სისასტიკით მხოლოდ იმ ბარბაროსულ დანაშაულობებს თუ შეედრება, მეორე მსოფლიო ომის წლებში რომ სჩადიოდნენ ნაცისტები.

შეკრებილთ მიმართა ტრიბუნალის სამდივნოს ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ცნობილმა იაპონელმა მწერალმა მ. ოდამ. მან განაცხადა, რომ მთავარი მსაჯულნი ტოკიოს ფორუმზე იქნებიან მსოფლიოს ხალხები, რომლებმაც მკაცრი განაჩენი უნდა გამოუტანონ ისრაელ აგრესორებს. ტრიბუნალის მოწყობას, თქვა შემდეგ მ. ოდამ, დიდი მნიშვნელობა ექნება პალესტინელი ხალხის ბრძოლისადმი სოლიდარობის განმტკიცების, მისი კანონიერი უფლებების მხარდაჭერის გაფართოებისათვის.

ლიბანში ისრაელის სისხლიან დანაშაულობათა მომსწრეებმა ტრიბუნალზე გამოსვლისას ისრაელ ექსპანსიონისტებთან ერთად სამარცხვინო ბოძზე გააკრეს ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ყოველნაირ მხარდაჭერას უწევდა აგრესორს. ორატორებმა ხაზი გაუსვეს, რომ ვაშინგტონს უშუალო პასუხისმგებლობა ეკისრება შემზარავი ხოცვა-ჟლეტისათვის, გასული წლის სექტემბრში რომ ჩაიდინეს პალესტინელ ლტოლვილთა საბრისა და შათილის პანაკებში.

● ავსტრალია

პრემიერ-მინისტრის განცხადება

კანბერა. **ავსტრალიის პრემიერ-მინისტრმა ლეიბორისტმა რ. ჰოუკმა აქ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ავსტრალია განაზორციელებს ღონისძიებებს, რათა აღადგინოს ნორმალური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.** რ. ჰოუკმა თქვა, რომ მის მთავრობას არ სურს საჩოთირო მდგომარეობაში აღმოჩნდეს იმის გამო, რომ ავსტრალია ვაჭრობას აწარმოებს საბჭოთა კავშირთან, მაგრამ არა აქვს დამყარებული ნორმალური ურთიერთობა სხვა დარგებში. ქვეყნად მშვიდობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს კონსტრუქციულად ვერ განვიხილავთ უსაბჭოთაკავშიროდ, ხაზი გაუსვა მან.

შეეხო რა ავსტრალიის ტერიტორიაზე ამერიკის ბაზების არსებობას, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ შეერთებული შტატების სათვალთვალო ბაზები შეიძლება ავსტრალიაში დარჩეს, მაგრამ ავსტრალიელებს მეტი აქტიურობა მართებთ ამ ბაზების ფუნქციონირებისადმი მეთვალყურეობაში მონაწილეობისათვის. მან აღნიშნა, რომ ავსტრალიისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორია ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში.

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

პოლიციის მუნდრიანი მკვლელები

ჰარარე. **ავტომატის კაკანმა დაარღვია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ქალაქ მარიხბურგში ღამის მყუდროება და ტყვიით განგმირული მუ წლის კ. დავანჰაგე ქვაფენილზე დაეცა. იგი პოლიციელთა „მეტიხმეტი სიფხიზლის“ მორიგი მსხვერპლი გახდა, რომელიც ავტომანქანის გამტაცებლად მიიჩნიეს.** რამდენიმე დღის წინათ თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში პოლიციელთა ტყვიით გარდაიცვალა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სხვა მოქალაქე ბ. იუდი. აქაური პრესის ცნობით, პოლიციის მუნდრიანი მკვლელები, რომლებსაც არავითარი სასჯელი არ მიუღიათ, განაგრძობენ „წესრიგის დაცვას“.

აღვირახსნილმა ტერორმა, რომლის მსხვერპლი უდანაშაულო მცხოვრებლები, მეტწილად აფრიკელები ხდებიან, მტკიცედ მიიკედა ფეხი რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წესრიგის დამცველთა ყოველდღიურ პრაქტიკაში. იოჰანესბურგის გაზეთ „სანდი ექსპრესში“ გამოქვეყნებული მონაცემებით, ბოლო ხანს პოლიციის მუნდრიანმა ჯალათებმა 1259 კაცი მოკლეს.

რასისტი ხელისუფლები არათუ არ სჯიან დამნაშავე პოლიციელებს, ძალმომრეობისათვის აქებენ, აქტიურად იყენებენ სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლთა ფიზიკური მოსპობისათვის.

მიზანსწრაფული კურსი

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ახორციელებენ შეთანხმებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანია უზრუნველყოს დაძაბულობის შენელების პროცესის განგრძობა და განმტკიცება, რათა მიაღწიონ მტკიცე შემობრუნებას საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაში ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის. სოციალისტური სახელმწიფოების პასუხისმგებლური მიდგომა მშვიდობის შენარჩუნებისადმი, მათი მზადყოფნა იმოქმედონ ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის გამოვლინდა წლის დამდეგს პრაღაში, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე.

14-15 მარტს მოსკოვში სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნების საერთაშორისო და იდეოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილ მორიგ თათბირზე გაიმართა აზრთა საფუძვლიანი გაზიარება პრაღის თათბრის იდეებისა და წინადადების ახსნა-განმარტებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული პოლიტიკური, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მუშაობის აქტუალურ საკითხებზე. თათბირის მონაწილეებს მეგობრული შეხვედრა ჰქონდათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ი. ვ. ანდროპოვთან, რომელმაც გულითად, ამხანაგური ვითარებაში ჩაიარა.

ორ თვეზე ცოტა მეტი გავიდა პრაღის პოლიტიკური დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ. მასში წამოყენებულმა ფართო მასშტაბის წინადადებებმა საერთაშორისო მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობების, ომის საწინააღმდეგო მოძრაობის, ბევრი ქვეყნის მთავრობების მნიშვნელოვანი ინტერესი გამოიწვია. ისინი გაგებით მოეკიდნენ და მხარი დაუჭირეს ამ წინადადებებს. დიდი ინტერესით შეხვდნენ, უწინარეს ყოვლისა, სოციალისტური ქვეყნების წინადადებას სამხედრო ძალის ურთიერთგამოუყენებლობისა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა და ჩრდილოეთატლანტიკური კავშირის მონაწილეთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ხელშეკრულების დადების შესახებ, რომლის ბირთვი შეიძლება გახდეს ორივე კავშირის მონაწილე სახელმწიფოთა ურთიერთვალდებულება პირველებმა არ გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ არც ბირთვული, არც ჩვეულებრივი შეიარაღება და, მაშასადამე, პირველებმა არ გამოიყენონ ერთმანეთის წინააღმდეგ საერთოდ სამხედრო ძალა.

ბუნებრივია, რომ ფართოდ ეხმაურებიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეთა წინადადებებს, რომლებიც ეხება ევროპის კონტინენტზე ბირთვულ განიარაღებას. ევროპაში შექმნილი ვითარება ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე მოითხოვს ყველა ქვეყნის მეცადინეობის გაერთიანებას დაძაბულობის შენელების, მშვიდობისა და განიარაღების, უწინარეს ყოვლისა ბირთვული განიარაღების პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების მიზნით. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს მიაჩნიათ, რომ საუკეთესო გადაწყვეტილებაა ევროპის სრული განთავისუფლება როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკური ბირთვული იარაღისაგან. ამ ვითარებაში, როგორც მოსკოვის თათბირზე აღინიშნა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ბრძოლას ევროპაში გამალებული ბირთვული შეიარაღების ახალი ტურის დაწყების წინააღმდეგ.

ამ დღეებში მთელი მსოფლიო აღნიშნავს კარლ მარქსის გარდაცვალების 100 წლისთავს და ემზადება ფართოდ აღნიშნოს მისი დაბადების 165 წლისთავი. მოძმე პარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნებმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ, ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი იყო და კვლავ არის კომუნისტთა სწორი და ეფექტიანი პოლიტიკის ურყევი იდეური საძირკველი.

მოვლენათა მიმოხილვა

ამ ერთ კვირაში

რეალიზმი უგუნურების წინააღმდეგ

სიცრუე, ცილისწამება, საზოგადოებრიობის მოტყუება, კონგრესისათვის ურეკვა „ზელების გადაგრეხა“, უზეში გამოხდომები „მერყევთა“ მიმართ და„ სხვაგვარად მოაზროვნეთა“ აშკარა დევნა — ასეთ საძრახის მეთოდებს იყენებს ამერიკის ადმინისტრაცია და ქვეყანას თავს ახვევს ბირთვული ომისათვის მზადების საშიშ საგარეო-პოლ ი ტ ი კ ურ კურსს.

ამჟამად გაყინვის საკითხს იხილავს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი. რეზოლუციას, რომელიც შეიცავს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვული არსენალების დაუყოვნებლივ გაყინვის მოთხოვნას, მხარს უჭერს ათობით სენატორი და კონგრესმენი. ახლახან ხმების უმრავლესობით იგი მიიღო წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ და განსახილველად წარედგინა კონგრესის ქვედა პალატას. რეზოლუციის ავტორებმა ასე ჩამოაყალიბეს მისი მთავარი მიზანი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსისათვის“ მიცემულ ღია წერილში: „ასეთი ღონისძიება გაყინავს საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს მათი ბირთვული არსენალების ახლანდელი მიახლოებითი პარიტეტის პოზიციებზე და თავიდან აიცილებს მომავალში ამ თანასწორობის დარღვევას“...

სწორედ ამ მიზანმა, რომელიც, პოლარულად ეწინააღმდეგება ადამიანურ ღირებულებებს, ბიძგი მისცა ამერიკის „ბირთვული ლობის“ ძალიერებას, „ბირთვული ბიუროკრატიის“ ძალიერებას, „ბირთვული ინდუსტრიის“ ძალიერებას“ შესწორებული გამოცემა, რომელიც აღსავსეა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოტენციალის „შედარებითი ანალიზის“ ფალსიფიკაციებითა და დამახინჯებებით. ამ გამოცემამ ამერიკელებს უნდა შეუქმნას შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკა უმწეო „კრავია“ იარაღმოღერებული „ეშმაკული დათვის“ წინაშე. მეორე დღეს თავდაცვის მინისტრმა კ. უაინბერგერმა ფულტონში (მისურის შტატი) იმავე დარბაზში, სადაც 37 წლის წინათ უინსტონ ჩერჩილმა ფაქტობრივად „ცივი ომი“ გამოუცხადა საბჭოთა კავშირს, მოუწოდა „ემზადონ ომისათვის“.

როგორც კი გაიტანეს წარმომადგენელთა პალატის განსახილველად გაყინვის რეზოლუცია, რ. რეიგანმა ბრძოლა გამოუცხადა კონგრესმენთა დიდ ჯგუფს და აიძულებდა მათ ხმა მიეცათ რეზოლუციის წინააღმდეგ, ამასთან ამბობდა, თითქოს მისი მიღება „გაანელებს, თუ საერთოდ შეუძლებელს არ გახდის“ შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ სსრ კავშირთან შეთანხმების მიღწევას.

ვაშინგტონის დემაგოგიური ოფიციალური პოლიტიკის სიყალბე და ცბიერება ნათლად ჩანს. დაშინებისა და შანტაჟის ტაქტიკა ვერ შეარყევს საღად მოაზროვნე ამერიკელთა მტკიცე გადაწყვეტილებას შეაჩერონ საშიში დაქანება ბირთვული კატასტროფის ზღვარისაკენ.

● იტალია

სკანდალური გადაწყვეტილება

რომი. **რომის მოსამართლემ ერნესტო კუდილომ მიიღო სკანდალური გადაწყვეტილება, „დანაშაულის შემადგენლობის უქონლობის გამო“ გაამართლოს „პ-2“ მასონთა ლოჟის წევრი დაახლოებით 200 სახელმწიფო მოხელე.** გამართლებულთა შორის არის დანაშაულებრივი ლოჟის ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომლებსაც ბრალად ედებოდათ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულებანი, აგრეთვე „პ-2“ ლოჟის მეთაური ლიჩო ჯელი, რომელსაც მოეხსნა წაყენებული ბრალდებების ნაწილი.

ამ გადაწყვეტილებამ აღშფოთება გამოიწვია იტალიაში. „გასაოცარი“ უწოდა მას საიდუმლო „პ-2“ მასონთა ლოჟის უკანონო საქმიანობის გამომძიებელი სპეციალური საპარლამენტო კომისიის წევრმა ადოლფო ბატალიამ.

200 შეთქმული მასონის გამართლება ორი წლის გამძიმების შემდეგ, აღნიშნავს პრესა, უკავშირდება მეორე საძრახის ამბავს, რომელიც ამ დღეებში მოხდა იტალიის დედაქალაქში. საქმე ეხება რომის გენერალური პროკურორის აკილა გალუჩის გამოხდომებს ქვეყნის მთავარი სასამართლო ორგანოს — მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობის მიმართ.

მან განაცხადა, რომ ისინი „იტაცებდნენ სახელმწიფო სახსრებს“ და მოითხოვა მათი სამუშაოდან დათხოვნა. მაგრამ შემოწმებით გაირკვა, რომ საბჭოს წევრთა „ბოროტმოქმედება“ მხოლოდ იმით გამოიხატებოდა, რომ ისინი ყავასა და ფუნთუშებს მიირთმევდნენ სახელმწიფო ხარჯზე და რომ საქმე ეხება სასაცილოდ მცირე თანხებს. პრესა აღნიშნავს, თუ რა უზარმაზარი დისპროპორციაა გენერალური პროკურორის ბრალდებებსა და იმ სანქციებს შორის, რომელსაც იგი მოითხოვს, და ხაზს უსვამს, რომ გარკვეული ძალები ამ გზით ცდილობენ მიჩქმალონ „პ-2“ ლოჟის გამო ამტყდარი სკანდალი.

პრეზიდენტებთა მაჭრები

გუშინ მოსკოვში გაიმართა მოჭიდრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის მეცხრე პარტია ა. ბელიავსკისა და გ. კასპაროვს შორის. კასპაროვი თეთრებით თამაშობდა. კასპაროვმა ეს პარტია მოიგო და მატჩში საბოლოო გამარჯვება მოიპოვა ანგარიშით 6:3. კასპაროვი ნახევარფინალში გავიდა.

ლვოვში გაიმართა მოჭადრაკე ქალთა ასეთივე შეჯიბრების მეოთხე პარტია [illegible] ვილსა და ირინე ლევიტინას შორის. ლევიტინა თეთრებით თამაშობდა. პარტია გადაიდო 41-ე სვლაზე.

ავსტრიის ქალაქ ფელდენში კი ეს-ესაა დაიწყო კიდევ ორი მეოთხედფინალური მატჩი. აქ გუშინ პირველ პარტიაში ნანა იოსელიანი ხვდებოდა ჩინელ ლიუ შილანს, ვასილ სმისლოვი კი რობერტ ჰიუბნერს (გფრ), მათი შეხვედრები გვიან ღამით დამთავრდა.

ფეხბურთის ამბები

გაიმართა ფეხბურთში საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: ცსკა-ხარკოვის „მეტალისტი“ — 0:1 (დამატებით დროში), დონეცკის „შახტიორი“-ლენინგრადის „ზენიტი“ — 5:3 (1:1 დამატებითი დროის ჩათვლით, პენალტების სერია —4:2), ამრიგად, ფინალში გავიდნენ, უკრაინის გუნდები — „მეტალისტი“ და „შახტიორი“.

ციურიხში, ევროპის საფეხბურთო ასოციაციების კავშირის (უეფა) შტაბ-ბინაში გაიმართა ევროპის ტურნირების ნახევარფინალურ მატჩებში მონაწილე გუნდების წილისყრა. გუნდები ასე დაწყვილდნენ: **ჩემპიონთა თასი.** „რეალი“ (სან-სებასტიანი, ესპანეთი) — „ჰამბურგი“ (გფრ), „იუვენტუსი“ (იტალია) — „ვიძევი“ (პოლონეთი); **თასებისმფლობელთა თასი.** „აბერდინი“ (შოტლანდია) — „ვატერსლეი“ (ბელგია), „აუსტრია“ (ავსტრია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი); **უეფას თასი.** „ბოჰემიანსი“ (ჩეხოსლოვაკია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია), „უნივერსიტატია“ (რუმინეთი) — „ბენფიკა“ (პორტუგალია).

საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელმა მიშელ იდალგომ განაცხადა, რომ პარიზში 23 მარტს „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში მონაწილეობისათვის ემზადებიან: **მეკარეები** — ტემპე („ლავალი“) და დროპსი (სტრასბურგი); **მცველები** — ამორო („მონაკო“), ბატისტონი, მაიუ (ორივე — „სენტ-ეტიენი“), ბოსი, ტიუსო (ორივე — „ნანტი“); **ნახევარმცველები**— ფერარი („ოსერი“), ჟირესი, ტიგანა (ორივე — „ბორდო“), ფერნანდესი („პარი სენ-ჟერმენი“), პლატინი („იუვენტუსი“, იტალია); **თავდამსხმელები** — ამისი („ნანტი“), ჟერიოლი („მონაკო“), როშტო („პარი სენ-ჟერმენი“) და სტოპირა („სოშო“).

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური სკონტროლო შეხვედრა ფეხბურთში თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მატჩი თბილისელთა დიდი უპირატესობით წარიმართა, მათ მეტოქეთა კარის აღება ვერ შეძლეს. ბაქოელთა საკმაოდ მჭეავე კონტრიერიშებსაც შედეგი არ მოჰყოლია და, შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

თბილისის „დინამომ“ ამ დღეს ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მჭედლიძე (კუცია), ჭედია, ანდღულაძე, პაიკიძე არზანი, კერესელიძე, კაკილაშვილი, სულაქვილიძე, კოპალეიშვილი (გურული), ცავა, შენგელია.

დღეს გაირკვევა

კალათბურთი. კაუნასში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის განმეორებითი მატჩი პირველი ადგილისათვის ცსკა-სა და ადგილობრივ „ჟალგირისს“ შორის. როგორც ცნობილია, პირველი შეხვედრა კაუნასელებმა მოსკოვში მოიგეს, ამჯერად კი არმიელებმა იმარჯვეს — 89:76. საბოლოოდ გამარჯვებულს გამოარკვევს ამ გუნდების მესამე შეხვედრა, რომელიც კაუნასში დღეს გაიმართება.

ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ

ფრთხილად, ზვავია!

კალენდარზე გაზაფხულია, სამხრეთ ოსეთის მთებში კი ზამთარი „არ თმობს პოზიციებს“. ამ თვეში დაახლოებით ოცი ზვავი ჩამოწვა კავკასიონის საუღელტეხილო საავტომობილო გზის მშენებლობის რაიონში. ზვავსაწინააღმდეგო სამსახურის ექსპედიციათა კარგი მუშაობის მეოხებით, რომელსაც გ. კობერიძე ხელმძღვანელობს, ზვავების ჩამოწოლისას არავინ დაშავებულა.

განსაკუთრებით საშიში გამოდგა ორი ზვავი ჯავის რაიონში, გგირაბის სამხრეთ პორტალზე. მათ დაახლოებულ ბეტონის ქარხანა, საქვაბის შენობა, ორკილომეტრიანი ელექტროგადამცემი ხაზი.

მშენებლობაზე შექმნილია ზვავის შედეგების სალიკვიდაციო ოპერატიული შტაბი, რომელსაც „თბილისგვირაბმშენის“ № 13 რაზმის უფროსი გ. ყიფიანი მეთაურობს. თოვლის წინააღმდეგ საბრძოლველად მობილიზებულია მშენებლობის ყველა მუშაკი, მძლავრი ტექნიკა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ელექტროენერგიის მიმწოდებელი ხაზის აღდგენა. სულ მშენებლებს განზრახული აქვთ გაწმინდონ 150 ათასი კუბური მეტრი თოვლის მასივი.

(საქინფორმი).

ცეცხლთან ბრძოლაში

მძიმე ბენზინსაზიდის მარშრუტი დასახლებულ პუნქტზე გადაოდა. პრაპორშჩიკმა ა. ნიკოლაიჩუკმა (ზორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი) დაინახა, რომ ერთ-ერთი სახლის საკვამურიდან ნაპერწკლები ცვიოდა. მაგრამ ვერც კი მოასწრო საჭის შემობრუნება, რომ ქარმა დაუბერა და ნაპერწკლები მანქანას დააყარა. წამიც და ბენზინსაზიდი აბრიალდა.

ანატოლომ მკვეთრად დაამუხრუჭა, გადმოხტა კაბინიდან და ცეცხლსაქრობს ეცა. მაგრამ იქამდე ვერ მივიდა — აბობოქრებულმა ცეცხლმა არ მიუშვა. პრაპორშჩიკი არ დაიძახა და ფარაჯით დაუწყო ცეცხლს ჩაქრობა. ამ მომენტში ავზის ხუფი ამოვარდა და ცისტერნაში ჩასხმულ ბენზინს ცეცხლი მოეკიდა.

„თუ ცისტერნა აფეთქდა, მთელი დაბა გადაიბუგება“, — გაუელვა ანატოლის. პრაპორშჩიკს ბევრი აღარ უფიქრია და ალმოდებულ ბენზინსადენს ზემოდან მოეკიდა. მოგზაგზე ხვრელს შინელი დააფარა და მთელი სხეულით დაეწვა. ცისტერნაში უპაროდ დარჩენილი ალი თანდათან ჩაქრა...

მძღოლმა დაძლია დამწვარობით გამოწვეული ტკივილი, მისწვდა ცეცხლსაქრობს და მისი მეშვეობით ალი ჩააქრო. (საკდესი).

ᲤᲝᲢᲝᲤᲐᲥᲢᲘ

21 მარტს რასობრივი დისკრიმინაციის მოსპობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეა

დაპატიმრებანი პროტესტისათვის

დაპატიმრებებისა **და** **რეპრესიებით** **უპასუხეს** **ქალაქ** **ოსტინის** **(ტეხასის** **შტატი)** **ხელისუფლებმა** **პროგრესული** **საზოგადოებრიობის** **გამოსვლას** **ქვეყანაში** **კუ-კლუქს-კლანის** **და** **სხვა** **რასისტული** **და** **შემარჯვენე** **დაჯგუფებების** **გააქტიურების** **წინააღმდეგ.** **მანიფესტაცია** **მოეწყო** **იქ** **დაგეგმილი** **„თეთრანაფორიანთა“** **მორიგი** **თავყრილობის** **წინააღმდეგ** **პროტესტის** **ნიშნად.** **მისმა** **მონაწილეებმა** **ადგილობრივი** **ხელისუფლებისაგან** **მოითხოვეს** **ამ** **თავყრილობის** **აკრძალვა.**

სურათზე: **პოლიციელები** **აპატიმრებენ** **დემონსტრაციის** **ერთ-ერთ** **მონაწილეს.**

აპ-საკდესის **ფოტო.**

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ჯ. მარიანოვიჩი: ვოცნებობ ისე, როგორც პირველად!

ბელგრადის **პოპულარულმა** **ჟურნალმა** **„ინტერვიუ“** **მომლერალ** **ჯორჯე** **მარიანოვიჩს** **სსრ** **კავშირში** **იუგოსლავიის** **ესტრადის** **ელჩი** **უწოდა.** **კერძოდ,** **აი,** **რა** **განაცხადა** **მან** **ჟურნალისათვის** **მიცემულ** **ინტერვიუში.**

— **ᲨᲕᲘᲓᲘ** წლის პაუზის შემდეგ შარშან ნოემბერში კვლავ ვეწვიე საგასტროლოდ სსრ კავშირს, მართალი გითხრათ, ვშიშობდი. მაგრამ მაყურებელმა და კრიტიკამ ისე გულთბილად მიმიღო, რომ ყოველგვარი შიში გამიქარწყლდა.

— **რა** **იყო** **ესოდენ** **ხანგრძლივი** **პაუზის** **მიზეზი?**

— შვიდი წლის წინათ გადაწყვიტე დროებით არ ჩავსულიყავი საბჭოთა კავშირში იმიტომ, რომ ზოგიერთმა ჩემმა კოლეგამ მოუხშირა ამ ქვეყანაში გასტროლებს ისე, რომ ჯეროვნად არ იყვნენ მომზადებული. ჩვენს, „მოხუცების“ მიერ გაკვალული გზა, რეპუტაცია, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ, საბჭოთა ესტრადაზე, გზას უხსნიდა ნებისმიერ იუგოსლავ მომღერალს და ზოგ-ზოგები ამით სარგებლობდნენ. მე ვიგრძენი, რომ ჩემდაუნებურად ყოველივე ამის თანამონაწილე ვხდებოდი...

— **პირველად** **თქვენ** **საბჭოთა** **კავშირში** **იყავით** **1963** **წელს** **და** **საბჭოთა** **მაყურებლისათვის** **ერთ-ერთი** **ყველაზე** **საყვარელი** **უცხოელი** **მომღერალი** **გახდით...**

— სსრ კავშირში გამოსასვლელად პირველი მიწვევა რომ მივიღე, დიდხანს არ მიფიქრია — მე ხომ იმ შემსრულებელთა თაობას ვეკუთვნი, რომლებიც რუსულ კლასიკაზე არიან აღზრდილნი. მახსოვს, როგორ ვღელავდი პირველი კონცერტის დროს. როცა იმჟამად პოპულარული „სტვენრვაზე“ და „დეკოიკა მალა“ ვიმღერე, მივხვდი, რომ მაყურებელმა გამიგო. მაშინ შევასრულე სიმღერა „სამი წელი მესიზმრებოდი“. თვალს არ ვუჯერებდი, რაც იქ ხდებოდა! დარბაზი „ულმობელი“ იყო. ზედიზედ რამდენჯერმე მამღერეს ეს შესანიშნავი საბჭოთა სიმღერა და პოპულარული „დეკოიკა მალა“.

— **პირველად** **თქვენ** **საბჭოთა** **კავშირში** **იყავით** **1963** **წელს** **და** **საბჭოთა** **მაყურებლისათვის** **ერთ-ერთი** **ყველაზე** **საყვარელი** **უცხოელი** **მომღერალი** **გახდით...**

— სსრ კავშირში გამოსასვლელად პირველი მიწვევა რომ მივიღე, დიდხანს არ მიფიქრია — მე ხომ იმ შემსრულებელთა თაობას ვეკუთვნი, რომლებიც რუსულ კლასიკაზე არიან აღზრდილნი. მახსოვს, როგორ ვღელავდი პირველი კონცერტის დროს. როცა იმჟამად პოპულარული „სტვენრვაზე“ და „დეკოიკა მალა“ ვიმღერე, მივხვდი, რომ მაყურებელმა გამიგო. მაშინ შევასრულე სიმღერა „სამი წელი მესიზმრებოდი“. თვალს არ ვუჯერებდი, რაც იქ ხდებოდა! დარბაზი „ულმობელი“ იყო. ზედიზედ რამდენჯერმე მამღერეს ეს შესანიშნავი საბჭოთა სიმღერა „დეკოიკა მალა“.

— **ალბათ,** **სხვა** **კეთილი** **მოგონებებიც** **გაქვთ** **სსრ** **კავშირზე?**

— არასოდეს დამავიწყდება 1980 წელი. მაშინ ტელევიზიაში გადაღებები მქონდა. ნოემბრის სადღესასწაულო დღეები იყო და წითელ მოედანზე სამხედრო პარადსა და მშრომელთა დემონსტრაციაზე დასასწრებად მოსაწვევი ბარათი გადმომცეს. მასზე ასევე ეწერა: „ჯორჯე მარიანოვიჩს, ლოჟა № 3“. მას დღემდე სიამოვნებით ვინახავ. მაგრამდაც კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ჩემი ბოლო ტურნეს დროს მოხდა. სოჭში გამოვდიოდი. იქ დიდი ხანია იზრდება ხე, რომლის ძირში თავიანთ ავტოგრაფებს ტოვებენ შავიზღვისპირეთის ამ ქალაქში ჩამოსული ცნობილი ადამიანები. მე პირველი საესტრადო მომღერალი ვიყავი, რომელსაც წილად მხვდა ეს პატივი. მაშინვე გადმომცეს სიგელი, რომელშიც წერია: „თქვენი სახით ჩვენ გვეგულება უმაღლესი ადამიანური იდეალებისათვის—მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის — კეთილშობილი მებრძოლი. ამან სახელი და დიდება მოგიტანათ თქვენ ჩვენს ქვეყანაში თქვენი ხელოვნება განამტკიცებს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობას“.

... ეს სტრიქონები რომ გადავიკითხე, გამახსენდა ცოტა ხნის წინათ პრესაში დაბეჭდილი ჯორჯე მარიანოვიჩის განცხადება, რომ მალე ესტრადის დატოვებას აპირებს. იგი მაშინვე ტელეფონით მოვძებნე და ვკითხე, მართალია-მეთქი?

— დიახ, მჭონდა ასეთი გადაწყვეტილება, — მომესმა პასუხად ნაცობი ხმა. — მაგრამ „ბელგრადის გაზაფხულის“ კონკურსზე გამარჯვების, სოლო კონცერტების და წარმატებული გასტროლების შემდეგ მივხვდი, რომ მარტო ჩემს თავს კი არა, მაყურებელსაც ვეკუთვნი.

— ესე იგი, მოსალოდნელია თქვენი გასტროლები სსრ კავშირში? — ამაზე ვოცნებობ ისე, როგორც პირველად!

ს. ᲒᲠᲘᲖᲣᲜᲝᲕᲘ,

ახალი **ამბების** **სააგენტოს** **კორ.**

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ

ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘᲗ

ს. პ. ცინცაძე

გარდაიცვალა 1921 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, პარტიისა და შრომის ვეტერანი სოფიო პავლეს ასული **ცინცაძე.**

ს. ცინცაძე დაიბადა 1903 წელს ჩოხატაურის რაიონში, ძველი ბოლშევიკის — პავლე ცინცაძის ოჯახში. იგი 12 წლის ასაკიდან ჩაება არალეგალურ-რევოლუციურ მუშაობაში ავრცელებდა პროკლამაციებს; ეხმარებოდა რევოლუციონერებს შეკრებების მოწყობაში, ამარაგებდა მათ სურსათით; მათთან ერთად იარაღით ხელში იბრძოდა მეფის ჯალათების წინააღმდეგ.

ს. ცინცაძის არალეგალური მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ მეფის დამქაშებს. იგი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფიო ცინცაძემ დაამთავრა ცენტრალური პარტიული სკოლა და საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტი, და მუშაობა დაიწყო ახალციხეში, პარტრაიკომის ქალთა განყოფილების ინსტრუქტორად, შემდეგ ქალაქის საფინანსო განყოფილების სამეურნეო სექტორის უფროსად. 1933 წელს მუშაობდა მოსკოვის სახელმწიფო ბანკის უფროს ბუღალტრად. 1934 წელს გადავიდა მახაჩყალაში, ხოლო 1937 წლიდან მუშაობდა თბილისში, ვაჭრობის სისტემაში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე.

ს. ცინცაძე დაჯილდოებული იყო მედლებით და პარტიის ვეტერანის სამკერდე ნიშნით „50 წელი სკკპ რიგებში“.

ს. პ. ცინცაძის ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგების